

გლობალური ფინანსური კრიზისი & საქართველო

გაზეთი ”თბილისი New York“ – დეკემბერი, № 8, 2008

საქართველოს ეკონომიკაში დღესდღეისობით შექმნილი კრიზისული სიტუაცია განაპირობა სხვადასხვა ფაქტორმა, როგორიც არის გლობალური ფინანსური კრიზისი, რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია და მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებდა ბოლო წლების განმავლობაში. ამ და სხვა თემებზე გაზეთს ესაუბრა ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტი ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, როგორ ფიქრობთ, რამ გამოწვია გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყება?

– ეს კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო, რასაც თავად ამერიკელი ექსპერტებიც ადასტურებენ და მიიჩნევენ, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული.

პირველი ფაქტორი ის გახლავთ, რომ შტატებში, პრაქტიკულად, იპოთეკური სესხებისადმი კონტროლი ძალზე მოიკოჭლებდა. სესხს აძლევდნენ ისეთ კლიენტებსაც, რომლებიც რეალურად ვერ შესძლებდნენ მის დაბრუნებას.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა საკმაოდ დიდ არამწარმოებლურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ერაყში და ავღანეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებს შედეგად ის მოჰყვა, რომ დამახინჯდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის სტრუქტურა, მნიშვნელოვნად გაიზარდა არამწარმოებლური ხარჯები, რამაც საბოლოოდ ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას.

ამას დაემატა იპოთეკური სესხების ფაქტორიც. კერძოდ, იმის გამო, რომ გაცემული სესხები უკან არ ბრუნდებოდა, ფინანსურ ინსტიტუტებს, ბანკებს გაკოტრების საფრთხე დაემუქრათ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ

ფინანსური კორპორაციები ერთმანეთის ფასიან ქაღალდებს ფლობენ, შესაბამისად, ერთ რომელიმე ბაზარზე დაწყებული ფინანსური კრიზისი ჯაჭვური რეაქციით გადაეცემა მეორე ქვეყნის ეკონომიკას. ამრიგად, შეერთებულ შტატებში დაწყებული ფინანსური კრიზისი მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც მოედო. გარდა ამისა, ამერიკული დოლარი, როგორც მსოფლიო გალუტა, ფაქტობრივად ქვეყნებს შორის კრიზისის გავრცელების საშუალებადაც შეიქმნა, და, შესაბამისად, ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა ეკონომიკაცა და აზიაც.

– შეეხო თუ არა გლობალური ფინანსური კრიზისი რუსეთის ეკონომიკას?

– მიუხედავად იმისა, რომ რუსული ბაზარი დიდად არ არის ინტეგრირებული მსოფლიო ბაზართან, კრიზისი რამდენადმე მის ეკონომიკასაც შეეხო. რუსეთის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს სწორედ ნავთობი და გაზი ასრულებს. შენელდა მსოფლიოს მასშტაბით წარმოების ზრდის ტემპები, შემცირდა მოთხოვნა ნავთობზე, რასაც ფასების მკვეთრი კლება მოჰყვა. ამან კი რუსეთის ბიუჯეტში, მის ეკონომიკაში სერიოზული დისპროპორცია გამოიწვია, შემცირდა შემოსავლები. ყოველივე ამას დაემატა ისიც, რომ რუსეთი, აგვისტოს მოვლენების შემდგომ, მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ აგრესორად აღიარა, რამაც მსოფლიო ბაზარზე მას იმიჯი გაუფუჭა. რუსეთის ბაზრის მომხიბლები დიდი მასშტაბის მიუხედავად, უცხოელმა და თავად რუსმა ინვესტორებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს მისი დატოვება. შესაბამისად, ამ პროცესმა ქვეყნიდან კაპიტალის გადინება გამოიწვია და საბოლოო ანგარიშით დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთის ეკონომიკას.

ყოველივე ამის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლებას არ სურს დაშვებული შეცდომების აღიარება და ყველაფერს გლობალურ ფინანსურ კრიზისს აბრალებს.

– შეეხო თუ არა გლობალური ეკონომიკური კრიზისი საქართველოს ეკონომიკას?

– რადგან ფასიანი ქაღალდების განუვითარებელი ქართული ბაზარი არ არის ინტეგრირებული მსოფლიო ბაზართან, ამერიკის ფინანსური ”ვირუსი” უშუალოდ ბევრს ვერაფერს დააკლებს საქართველოს ეკონომიკას, თუმცა

გლობალურმა კრიზისმა მაინც იქონია მნიშვნელოვანი გავლენა
საქართველოზე.

– რამ გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი საქართველოში? რა როლი შეასრულა კრიზისის შექმნაში რუსეთის აგრესიამ?

– გლობალური ფინანსური კრიზისი, რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია და საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელი მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა არის სწორედ ის მიზეზბი, რომლებმაც კრიზისული მდგომარეობა წარმოშვა საქართველოს ეკონომიკაში.

გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენის ნიშნები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას აგვისტოს მოვლენებამდეც დაეტყო, რამაც საბანკო სექტორში იჩინა თავი.

2008 წლის დასაწყისში, კომერციულმა ბანკებმა საგრძნობლად გაზარდეს საპროცენტო განაკვეთი, რადგან ბანკებს ძალიან გაუჭირდათ იაფი საკრედიტო რესურსების მოძიება საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე, რაც სწორედ იმის მანიშნებელი იყო, რომ გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ირიბად მაინც იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე.

ეს განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა სამშენებლო სექტორში, პრობლემები შექმნა სამსენებლო ბიზნესს, რომელსაც „უფრო ”ჰაერით“ ვაჭრობის ბიზნესი შეიძლება ვუწოდოთ. კომპანიების წარმომადგენლები ბანკებიდან აღებულ სესხებს არამიზნობრივად ხარჯავდნენ, მოპოვებულ თანხებს, მაგალითად, ძვირადლირებული ავტომობილების შეძენას ან საკუთარი ოფისების მოწყობას ახმარდნენ. ბიზნეს კი მშენებლობის დაწყებამდე გაბერილ ფასად ყიდდნენ. რთული მისახვედრი არ არის, რომ ამასობაში, სანამ მშენებლობას დაამთავრებდნენ, ბინაში აღებული თანხა უკვე საკმარისი ადარ იყო კურსის ცვლილების ან ინფლაციის გამო. ყველაფერმა ერთად, საბოლოო ანგარიშით, საწარმოო ხარჯები გაზარდა და კომპანიები რთულ ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა. ანუ სამშენებლო ბიზნესში რაც მოხდა, ეს წმინდა წყლის ქართული შეცდომები იყო.

რაც შეეხება აგვისტოს მოვლენებს, უნდა ითქვას, რომ თუმცა ხუთდღიან ომს საქართველოს ეკონომიკამ გაუძლო, ქვეყანაში მცირე დროით

პანიკა მაინც შეიქმნა და მოსახლეობამ ბანკებიდან საკუთარი დეპოზიტების გატანა დაიწყო.

ომის პერიოდში, ჩვენმა კომერციულმა ბანკებმა დაკარგეს ნახევარი მილიარდი დოლარის აქტივები, რაც საკმაოდ დიდი თანხაა. ბანკები რეალურად კრიზისის წინაშე დადგნენ.

– რა მოხდა შემდეგ, დაიწყო თუ არა საქართველოში საბანკო კრიზისი?

– ეროვნულმა ბანკმა ამ შემთხვევაში დაიწყო რეფინანსირების ოპერაციები, ანუ კომერციული ბანკებისთვის შედარებით დაბალპროცენტიანი სესხის გაცემა. შეამცირა სავალდებულო რეზერვების ნორმა, ხელი შეუწყო ოპერაციებს, რომლებმაც კომერციულ ბანკებს გაუჩინა დამატებითი საკრედიტო რესურსები. ამან კი ქვეყანაში ინფლაცია გამოიწვია.

ინფლაცია არასახარბიელო პროცესია, მაგრამ გაცილებით უარესია კერძო ბანკების გაკოტრება. ამიტომ, ეროვნულმა ბანკმა, ამ ორი ნეგატიური პროცესიდან საბანკო სისტემის გადასარჩენად ინფლაცია ამჯობინა. შეიძლება იქვას, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ პრობლემას თავი სექტემბერ-ოქტომბერში კარგად გაართვა.

რუსული აგრესიის შემდეგ საქართველოში უცხოური ინვესტიციებიც შემცირდა, რადგან ჩვენმა ქვეყანამ საინვესტიციო მომსიბვლელობა დაკარგა, მით უმეტეს, რომ სარკოზი-მედვედევის გეგმა ბოლომდე შესრულებული ჯერ კიდევ არ არის, არ დასრულებულა რუსეთის ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან გასვლა.

– რა შედეგები მოჰყვა ინვესტორების გასვლას?

– ქვეყანამ დაკარგა საკმაოდ ბევრი ინვესტიცია. საქართველოში ნაკლები რაოდენობის უცხოური ვალუტის შემოდინება მოხდა, რამაც დამატებითი პრობლემები შექმნა.

შეიქმნა სავალუტო კრიზისის საფრთხე, რადგან ქვეყანაში იმპორტი ოთხჯერ ჭარბობს ექსპორტს. ეს იმას ნიშნავს, რომ ექსპორტიდან ყოველ მიღებულ დოლარზე საქართველო იმპორტში კარგავს ოთხ დოლარს. ქვეყანა იცლება სავალუტო რეზერვებისგან.

საჭირო გახდა ლარის თანდათანობით გაუფასურება, ლარის დევალვაცია. აქ საქართველოს ბანკმა, რომელიც არ იყო თანამიმდევრული, სერიოზული შეცდომა დაუშვა. სექტემბრის ბოლოდან გამოიკვეთა, რომ

კომერციულ ბანკებს პქონდათ საკმაოდ გაზრდილი მოთხოვნა უცხოურ გალუტაზე, უცხოური ვალუტის ერთადერთი გამყიდველი (მიმწოდებელი) კი საქართველოს სავალუტო ბაზარზე იყო ეროვნული ბანკი, ანუ იგი ყიდდა რეზერვებს.

პრაქტიკულად, ეროვნულმა ბანკმა, ერთ თვეზე ცოტა მეტ დროში, თავისი რეზერვებიდან 300 მილიონი დოლარი დახარჯა, ლარი კი მხოლოდ ორი პროცენტით გაუფასურდა.

აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ისიც, რომ რუსეთის აგრესიის შემდეგ, „სთენდბაი” შეთანხმებით, სავალუტო ფონდმა დახმარების სახით საქართველოს გამოუყო 750 მილიონი დოლარი. სწორედ გაცვლითი კურსის სტაბილურობის შესანარჩუნებლად, 250 მილიონი დოლარი ეროვნულმა ბანკმა შემოდგომაზე უკვე მიიღო, რაც უკვე დახრჯა კიდევ.

ყველაზე დიდი შეცდომა კი ეროვნულმა ბანკმა 2008 წლის 7 ნოემბერს დაუშვა. ამ დღეს კომერციული ბანკებიდან დოლარზე მოთხოვნა 31 მილიონი იყო, მიმწოდებელი კი არც ერთი არ აღმოჩნდა.

პირველი ტრანსაქცია რომ შედგა, ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 270 ათასი დოლარი, ამის შემდეგ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობა შეწყდა ტექნიკური მიზეზების გამო, რამაც პანიკა გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო პარასკევი დღე, შაბათ-კვირას სავალუტო ოპერაციები ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე არ ხორციელდებოდა. პარასკევს და შაბათს დაიცალა ბანკომატები, დოლარის კურსმა აიწია და აღარავინ არ ყიდდა დოლარებს.

მხოლოდ ორშაბათს განაცხადა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ, რომ თურმე ეს ღონისძიება მათ დაგეგმილი პქონდათ.

ვფიქრობ, თუკი ეს დაგეგმილი იყო, კურსის ასეთი ნახტომისებური ცვლილება კვირის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. ბანკებიც და კერძო პირებიც გაეფრთხილებინათ პანიკის თავიდან ასაცილებლად. ლარის გაცვლითი კურსის ნახტომისებურად თხუთმეტი პროცენტით დაეცა. მე ამ მოვლენას (ცოტა ირონიით) „მწვანე პარასკევი” ვუწოდე.

— რა შედეგები მოჰყვა ეროვნული ბანკის მიერ დაშვებულ ამ შეცდომას?

– ლარის ვარდნამ სხვადასხვა საქონელზე ფასის მომატება გამოიწვია, რადგან ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზე საქონლის 80 პროცენტი იმპორტირებულია, და ფასის დადგებისას იმპორტიორი ლარის გაცვლით კურსს ითვალისწინებს. შესაბამისად მათი პროდუქტები ძვირდება. თუმცა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ირწმუნებოდა, რომ ლარის გაცვლითი კურსის ასეთი ვარდნა, სამომხმარებლო საქონლის გაძვირებას არ გამოიწვევდა.

– რატომ დასჭირდა სახელმწიფოს ლარის კურსის მკვეთრი დაცემა?

– შესაძლებელია, ასეთი შეცდომები უცოდინრობამ დააშვებინა, ანდა, გილაცის სიბრიყვის და მავანთა ბოროტი ზრახვების შედეგად გადაიდგა ეს საბეჭდისწერო ნაბიჯი.

– რა გზებით უნდა დაძლიოს საქართველომ ეკონომიკური კრიზისი?

– ა.წ. 22 ოქტომბერს, ბრიუსელში, დონორების შეკრებისას გადაწყდა, რომ საქართველო 2010 წლის ჩათვლით ოთხნახევარ მილიარდ დოლარს მიიღებს, რაც პრაქტიკულად იძლევა იმის საფუძველს, რომ ქვეყნის ეკონომიკა ფეხზე დადგეს. თანაც ეს რეალურად უცხოური გალუტის შემოდინებას გულისხმობს, რამაც არ უნდა გამოიწვიოს სავალუტო კრიზისი.

„მწვანე პარასკევის“ შემდეგ თუ შევხედავთ, რა ხდება ბანკთაშორის ბირჟაზე, დავინახავთ, რომ ეროვნული ბანკი კვლავ კარგავს რეზერვებს. გაცვლითი კურსი ახალ დონეზე უჭირავს და ლარის კურსიც თითქმის უცვლელია. ობიექტური საფუძველი იმისა, რომ დევალვაცია არ განხორციელდეს, არ არსებობს. ლარის კურსი მცოცავი რეჟიმით, თანდათანიობით უნდა დაეცეს, რაც მეწარმეების, კერძო პირების, ბანკების ადაპტირებას გამოიწვევს და ყოველი მათგანი მაქსიმალურად შეეცდება ლარის დევალვაციის პროცესს ალღო აუდოს.

– არის თუ არა „მწვანე პარასკევის“ გამეორების საფრთხე?

– დღეს ეროვნული ბანკი ხელოვნურად აკავებს ლარის კურსს, კარგავს თავის რეზერვებს, თვეზე მეტია, არ ახდენს ლარის კურსის დევალვაციას, რაც „მწვანე პარასკევის“ გამეორების საფრთხეს ნამდვილად ქმნის.

ობიექტურად, ამ ოთხნახევარი მილიარდი დოლარის შემოსვლის კვალობაზე, იმის საფრთხე, რომ სავალუტო კრიზისი ჩამოყალიბდეს და

ეკონომიკა დაინგრეს არ არის, თუმცა იმ შეცდომების ფონზე, რომლებიც საქართველოს მთავრობამ დაუშვა, არაფერი არ არის გამორიცხული.

ნუცა ტრაპაიძე